

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №1783

ქ. ბათუმი, 17 ოქტომბერი 2017 წ

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე და სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირთა წრის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 11 სექტემბრის №534 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :**

1. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე და სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირთა წრის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 11 სექტემბრის №534 ბრძანებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) ბრძანების პირველი პუნქტის 1.4. ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.4. იურიდიული პირის თანამშრომლების მიერ წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი (დირექტორი, ხოლო არსებობისას გენერალური დირექტორი), ხოლო სხვა დანარჩენ შემთხვევაში საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი;“.

2. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი